ხელშეკრულება №116

ქ. კასპი 27 დეკემბერი 2010 წელი

კასპის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის დავით მესროფაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე, ერთი მხრივ და შპს „თეგეტა მოტორსი" შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული წარმოდგენილი, გენერალური დირექტორის გ. მშვილდაძის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე მეორე მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

1. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის ავტომანქანისათვის 6 ცალი საბურავის მოწოდება (თანდართული ინვოისის მიხედვით №1000089180 27.12.2010).

2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 2 985 (ორი ათას ცხრაას ოთხმოცდა ხუთი) ლარი.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3. „შემსრულებელი" ვალდებულა წარმოადგინოს, საგადასახადო ა/ფაქტურა (სასაქონლო ზედნადები), მიღება-ჩაბარების აქტი და წერილობითი მოთხოვნა ანგარიშწორებისათვის.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე მოახდინოს ანგარიშწორება.

4.2. „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. დროულად და უსაფრთხოდ უზრუნველყოს საქონლის მოწოდება.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა და სახანძრო–დაცვის სამსახური.

6.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი შემსრულებელი ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან მოქმედებს 2010 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

9. ზოგადი დებულებები

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

9.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავათა განხილვის წესი

101.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“
კასპის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქ.კასპი კოსტავას ქ. №18 ტელ. 2-20-20;
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232555302; ა/ნ ; GE26LB0120180625348000;
„ლიბერთი ბანკის“ კასპის ფილიალი ბ/კ 220101478;

„შემსრულებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“
მისამართი: ქ. თბილისი დიღმის მასივი VIკვ. კ.22ბ;
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 202177205; ა/ა GE80TB0600000024467853
ს.ს„ თიბისი ბანკი ცენტრალური ფილიალი; კოდი 220101830;

„დამკვეთი“
კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დ. მესროფაშვილი

„შემსრულებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“-ს
დირექტორი

გ. მშვილდაძე

შეთანხმებული:
კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი

კ. ხაჩირაშვილი

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS

მპს "თეგეტა მოტორსი", საქართველო, 0159 თბილისი

102896
კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა
232555302

ინვოისი

ნომერი / თარიღი
1000089180 / 27.12.2010
მეკვეთის ტიპი
გაყიდვა გადარიცხვით
მაღაზია / პასუხისმგებელი პირი
"დიღომი" / B.TSKHVEDIAN
მენიშვნა

ინვოისი ძალაშია გამოწერიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში!

№	კოდი	დასახელება არტიკული	რაოდენობა	ფასი	ღირებულება
10	20101116	საბურავი NK 10.00R20 OI-73B pr16 უკამერო	3ც	485,00 GEL	1.455,00
20	20100107	საბურავი NK 10.00R20 OI-73B pr16 280 X 508	3ც	510,00 GEL	1.530,00

ჯამი **2.985,00** GEL

მიმღების საბანკო რეკვიზიტები: მპს "თეგეტა მოტორსი", დიღმის მასივი, VI კვრტ, კ.22ბ, ს/კ: 202177205
ქ.თბილისი, სს "თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, 220101830, GE80TB0600000024467853
Tel: +99532244444, Fax: +99532244444, E-mail: info@tegetamotors.ge, WEB: www.tegetamotors.ge